ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1915 Წ. № 61

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ხელის მოწერა და დაბეჭდვის განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 67.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.



## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

---

**ᲘᲛ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ, ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ**

## „ᲙᲐᲤᲔ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ“

**ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ Ქ., Თ.-ᲐᲖᲜ. ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ-დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

---

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ

ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ

## „ᲙᲐᲤᲔ ᲑᲝᲠᲓᲝ“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ᲧᲐᲕᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲪᲮᲔᲚ-ᲪᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲖᲛᲔ დილის 9 საათიდან 12 საათამდე. ᲡᲐᲓᲘᲚᲘ** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

---

**Ქ. ᲒᲝᲠᲘᲨᲘ**

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

---

**ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ**

მოსე ანთიმოსის ძე

**ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე** მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

---

**ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲐᲡ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ**

**ᲡᲐᲨᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ**

**ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡ**

**ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს**

**Ი. Თ. ᲒᲐᲗᲣᲐᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ**

✦ **ვერის დაღმართი № 1** ✦

ტელეფონი 17—05

---

**კბილის ექიმი**

**ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.



---

# ᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

## ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

რიგის რაიონში შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. რადგან უკანასკნელ დროს დვინისა და პონევეჟის მიმართულებას, და აგრეთვე კოვნოს მეტად დიდი სტრატეგილი მნიშვნელობა მიეცა, მთელ ამ რაიონში მედგარი და ცხარე ბრძოლები ხდება. რუსის ჯარმა ჯერ უკან დაახევინა პონევეჟ-ვილკო მიროს მიმართულებით გერმანელებს, მაგრამ მათ, ეტყობა, დახმარება მოუვიდათ და კვლავ ცდილობენ წამოწევას. კოვნოზე გერმანელებმა 29 ივლისს ღამე ოთხჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ უკუგდებულ იქნენ, ხოლო რა მოხდა მას აქეთ—ჯერ არ ვიცით. ოსოვეციდან მოყოლებული—სედლეცისა და ლუკოვის აღმოსავლეთით და აგრეთვე ბუგის ხეობით კვლავ ცხარე ბრძოლებია რუსის ჯარის უკანამავალთა და მოპირდაპირის შორის. დნესტრზე ბრძოლა ცხოველდება.

რუსის ჯარი დღეს თუ ხვალ მიაღწევს ძლიერ ციხეებს ბელოსტოკს, ბრესტს, რომლის სიმაგრეებს უნდა შეაფაროს თავი, აქ მოიკიდოს ფეხი, გამაგრდეს და სცადოს მოპირდაპირის შეჩერება. ერთი რამის თქმა შეიძლება გადაჭრით: ბრესტისა ბელოსტოკის ბედი შეიძლება კოვნოს გარშემო გადასწყდეს.

მ. ბ—ლი.

## ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1 აგვისტო.** კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 30 ივლისს ზღვის პირად და ოლთისის მიმართულებით სროლაა. პასინის მიდამოებში ოსმალთა იერიში დიდის ზარალით მოგერიებულ იქმნა. ყარადერბენთიდან სამხრეთით ბრძოლა სწარმოებს. ეფრატის მიმართულებით რუსის ჯარი ოსმალებისას ბრძოლით სდევნიდა, რის შემდეგაც დაიჭირა მელიაზგერთი. ერთი დღის განმავლობაში 200 ტყვე შევიპყარით. ვანის მიმართულებით შეტაკება მოგვიხდა, რითაც რუსებმა დაამარცხეს და მოწინააღმდეგენი ტყვედ წამოიყვანეს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 2 აგვისტო.** კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 31 ივლისს ზღვის პირის მიმართულებით სროლა სწარმოებდა. ოლთის მიმართულებით—ბილდასორის რაიონში ოსმალები სცდილობდნენ წინ წამოწევას, მაგრამ ჩვენ შევაჩერეთ ისინი თოფისა და ტყვიის მფრქვეველების სროლით. პასინის მხარეში მწვავე ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიჭირეთ ერთი ქედი კარადერბენტის სამხრეთით. ოსმალნი ეცადნენ დაკარგულ ადგილების უკან დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენმა ერთ-ერთ პოლკის ესკადრონმა წაართვა ოსმალებს ბარგის ეტლები და დაატყვევა მისი დარაჯი რაზმი, წამოასხეს საქონელი და წამოიღეს მრავალი თოფები და ხელით სასროლი ყუმბარები. დანარჩენ ფრონტზედ შეტაკება არ მომხდარა.

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ, 1 აგ.** ოფიციალი. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან. 31 ივლისს რიგის მიდამოებში შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. იაკობშტატისა, დვინსკისა და ვილკომირის მიმართულებით კონტრიერიშები გრძელდება, 30 ღამით კოვნოს დასავლეთ პოზიციებზე ჩვენმა ჯარმა ისევ მოიგერია გერმანელთა ოთხი იერიში. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ნარევსა და (?) შუა შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. 31 ივლისს ცხარე ბრძოლა იყო ცეხანოვცეს სამხრეთ-დასავლეთით. უკანასკნელ დღეებში ნოვოგეორგიევსკთან იყო საარტილერიო ბრძოლა და მცირე შეტაკებანი მოწინავე რაზმებისა. სედლეცის ჩრდილოეთით, ბუგის მარცხენა ნაპირზე და ლუკოვის მიდამოებში 30 ივლისს ღამე ფიცხელი ბრძოლა იყო გუშაგებისა. ბუგის მარცხენა ნაპირზე, ზოლოტაია ლიპასა და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ, 2 აგვისტო.** ოფიციალი. რიგის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. იაკობშტატისა და დვინის ბრძოლა 31 ივლ. და 1 აგვ. მეტად სასტიკ ხასიათს იღებდა. ნერევბუგის შუა ფრონტზე გერმანელთა იერიშები მოგერებულ იქმნა. ბუგის მარცხენა ნაპირზე 31 ივლ. და 1 აგვ. გერმანელები ძლიერი იერიშებით წამოვიდნენ რკინის გზის გასწვრივ სედლეც-ლუკოვისკენ. მათი იერიში შეჩერებულ იქმნა რუსების მიერ, 800 ჯარ. ტყვე წამოიყვანეს, დავლად დარჩათ რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი. ნოვო-გიორგიევსკთან მსხვილი კალიბრის ზარბაზნებიდან უშენდნენ, რამდენიმე ციხეზე იერიშით მივიდნენ, მაგრამ საზოგადოდ უკუგდებულ იქმნენ. ბუგის მარჯვენა ნაპირზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ზოლოტოი ლიპაზე დუნაევის რაიონში რუსის მოწინავე რაზმებმა ყოჩაღად დაზვერეს გერმანელთა პოზიციები, მოსპეს მათი ხელოვნური ზღუდეები, რამდენიმე რიგი თხრილებისა აიღეს და ერთიანად ამოჰხოცეს თხრილების მცველნი. დნესტრზე 31 ივლისს და ღამით 1 აგვ. სტრიპის შესართავის რაიონში და ზოლოტოი ლიპას მახლობლად რუსებმა ავსტრიელთა ძლიერი იერიშები მოიგერიეს, რომელთაც ზურგი გამაგრებული ჰქონდათ მძიმე და სუბუქი არტილერიით.

## ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

**ვარშავის დატოვება.**

დადგა უკანასკნელი წუთი. მთელ ქალაქს ცეცხლის ალი თანდათან უახლოვდებოდა. 22 ივლისს ცეცხლი მოედო ვარშავა-ვენის სადგურს, გერმანელთა შრაპნელები ამ დროს მოკოტოვის მინდორზე ეცემოდა. აფეთქდა მოწინავე სიმაგრეები. ღამით აფეთქდა ვისლის მარცხენა მხარეს იარაღის საწყობები. იყო საშინელი ტრიალი ყოველ მხარეს. ორის საათის განმავლობაში პეტროგრადის სადგურზე 23 ივლისს დილის 9 საათზე 300 აფეთქება მოჰდა. ჰაერში იფანტებოდა აფეთქებულ შენობების დანგრეული მასალა. ერთს და იმავე დროს აფეთქებულ იქმნა ბრესტის დ. კოკელის სადგური. 24 ივლისს ვარშავას უკვე მოწინააღმდეგე დაეპატრონა. „რუს სლოვო“.

—

„რეჩი“ აღნიშნავს, სარწმუნო წყაროების ცნობით, რომ გერმანელებმა ნემანის და დასავლეთ დვინის შუა დიდძალი დასტოვაო. აქ მოსალოდნელია დიდად საინტერესო ბრძოლა მოხდესო. ნოვოგიორგიევსკი თითქმის სრულიად ალყა შემორტყმულია, მაგრამ რუსის არტილერია მხნედ უშენს ზარბაზნებს.

—

„რუს. სლოვო“ იტყობინება, განზრახულია კიევიდან გალიციელი ებრაელები გალიციაშივე დაბრუნდნენო.

—

ინგლისური გაზეთი „ტაიმს“ შეეკითხნენ: მოკავშირეთა ჯარი დასავლეთ ასპარეზზე რას აკეთებსო! გაზეთი მოწინავე წერილში უპასუხებს: მოკავშირეთა ჯარი აკავებს ორ მილიონიან გერმანელთა ჯარს, ვჩეჩქავთ ოსმალებს და ამით ნებას არ ვაძლევთ კავკასიაზე გაილაშქრონო.

—

„ბირჟ. ვედ.“ იტყობინება, რომ თვით გერმანელთა გაზეთების ცნობით ვარშავის აღებას გერმანელ ხალხში არავითარი აღტაცება არ გამოუწვევიაო.

**გერმანეთის ავტომობილები.**

„გერმანეთის ავტომობილების ქარხანა „მერცედეს“ ავტომობილებს, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში იყვნენ დამზადებულნი, კარგა ხანია შეამჩნიეს, რომ მათ უკან ოთხი, თითქოს სრულიად უსაჭირო ნახვრეტი ჰქონდათ თანდატანებული. ეს ნახვრეტები არაფერ მოთხოვნილებით არ იყო გამოწვეული და ყველასაგან გაკვირვება-გაუგებრობას იწვევდა. ეხლა კი აღმოჩნდა, რომ გერმანელები ამ ნახვრეტების შემწეობით ავტომობილზე მიტრალიოზებს ამაგრებენ. გაზეთი „ნოვ. ვრ.“ შენიშნავს: ნუ თუ ამის შემდეგაც იტყვიან გერმანელები, რომ მათ ომის დაწყება არ უნდოდათო. (ნოვ. ვრ.).

—

დეპუტატ პანკეევს დაუთვალიერებია ბრესტ-ლიტოვსკი-ვლოდავა · კობრინოს რაიონი. მთელ ამ მხარეებიდან ხალხი გამორბის. 500 ათას სულზე მეტი გადმოხვეწილი თავიანთ ბარგი-ბარხანით სმოლენსკისკენ მოდის. გზაში აუარებელი მკვდარი საქონელი ჰყრია და ჰაერსა შხამავს. იმ ადგილებში, რომელსაც ეს ქარავანი უახლოვდება, მცხოვრებნი თავიანთ ჭებს წყლის გაბინძურებისაგან დასაფარავად მიწითა ხურავენ. გამოქცეულები ხშირად ძალით სტაცებენ მცხოვრებლებს სანოვაგეს. კიშკინმა და სხვა რწმუნებულებმა სამხედრო მთავრობას გამოქცეულთა ევაკუაციის გეგმა წარუდგინეს. ამ გეგმის მიხედვით თვიურად მათი მხოლოდ გამოკვება დაჯდება 3 მილიონი. საერთოდ კი მათ მოუნდებათ თვეში 5.800,000 მანეთი. გარდა ამისა საჭიროა ერთდროულ დახმარებისათვის გადაიდოს 9 მილიონი მანეთი.

## ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ*)

(საამდროისო)

„კაცი შემომაკვდა“, „ქალი შემომელანძღა“, „ფული შემომეჭამა“, „სარჩო შემომაკლდაო“, ჩვენს მეტი არავინ იტყვის დედა-მიწის ზურგზე. ამგვარი ბრუნვა არცერთ ენაში არ მოიძიება. მარტო ჩვენ გვჩვევია სხვას ვაბრალოთ ჩვენი ვაი-ვაგლახი, ყოველ სხვა ერს ესმის, რომ თვითონ უნდა ეანგარიშნა, თუ რამდენი საზრდო დასჭირდებოდა, ანგარიშიანად უნდა ეშრომა, ეხარჯა. ჩვენებურად კი გამოდის—საზრდო ყოფილა მოვალე ბოლომდის გაგვყოლოდა. მისი ბრალია, თუ გამოგველია! სულდგმული, მოქმედი, მოაზრე—საზრდოა, და არა ადამიანი. ჩვენი თავი ყველაფერში პასივურ ქმნილებად მიგვაჩნია, რომელსაც არც ნება აქვს, არც ბრალი ედება, არც პასუხისგება აწევს. როცა ფულს ვფლანგავთ, ან კაცს ვკლავთ, გვგონია ფული თავის-თავად გარბის, ან კაცი ჩვენი ხელით თავს იკლავს. ნების და ხასიათის გახრწნა ამაზე შორს ვერ გასწევს.

სულ სხვაფრივ ფიქრობს და ამბობს ხალხი, რომელსაც სწამს, რომ მისი ბედის მჭედი მის მეტი არავინაა. საკუთარ მოქმედებას ის სხვას როდი აბრალებს. უეცარ უბედურებასაც კი თვითონ ნანობს: რატომ წინათვე ვერ ვიგრძენ და ვერ ავიცდინეო, ჩვენ კი ყოველგვარ უბედურებას ვივიწყებთ, თუ-კი მოვახერხეთ ვისმე სხვას მივაწეროთ მისი ბრალი.

რაც ამ ომის დროს აჭარას მეხი დაეცა, არ ახალია, ძველია ჩვენთვის: ადვილი გასახსენებელი უნდა ყოფილიყო ყველასათვის აფხაზეთის აკლება 1877-ში და აფხაზების მაშინდელი ბედი. რამდენს ჩვენგანს საკუთარი თვალით უნახავს ის დაუვიწყარი საცოდაობა! გვასწავლა კი მან ჭკუა? გუშინდელი ამბავი რომ არ გვახსოვს, წინაპრების ბედს რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენთვის?

როცა 1877-ის გაზაფხულზე რუსის ჯარმა შავი-ზღვის პირი დაცალა და თათარმა სოხუმი დაიკავა, აფხაზობა ორ წილად გაიყო. ვინც გონიერი იყო, ის შინ დარჩა; მათია ეხლა აფხაზეთი. უმრავლესობა კი თათარს გაჰყვა, რადგან იფიქრა: აქაოდა, რუსი მიდის, აღარ მოვაო. ოთხ-თვეს არ გაუვლია, დაბრუნდა რუსი. თათარი გემში ჩაჯდა და გაიქცა. გაბრიყვებული აფხაზი კი დაიღუპა: ზოგი ომში, ზოგი ზღვაში, ზოგი უცხოეთში. დიდი ხვეწნით და დავიდარაბით ძლივს მოვახერხეთ რამდენიმე წლის შემდეგ, ისიც თ. მირსკის და ლორის-მელიქოვის შემწეობით. მცირეოდენის მათგანის პატივება და შეწყნარება, არც მეათედ ნაწილს შეადგენდა გადახვეწილებისას. იმათი რიცხვი, ვინც ჭირს, თრევას და უპატრონობას გადარჩა და შუაგულ ანატოლიიდან ბათომს დაკონკილი ჩამოლოდა ხვეწნით—მამული დაგვიბრუნეთ, წინაპართ სასაფლაოზე დაგვმარხეთო!

იქნება არც აჭარლების ბედმა იმოქმედოს სხვებზე: სანუგეშოდ ის გვექნება, რომ შეგვეძლება სხვას დავაბრალოთ ჩვენი ბედშავობა. თითქო ამით ჩვენი მდგომარეობა შეიცვლება და აკლება სიკეთედ გვექცევა!

ვის ახსოვს ეხლა ის დრო, როცა აჭარა თათრის ხელში იყო, ან ის შრომა, რომელიც ჩვენმა თაობამ გასწია მის შემოსაერთებლად საქართველოსთან? როცა 1873-ში ქართულ მწერლობამ ჩემი პირით ამ საგანზე პირველჯერ ხმა ამოიღო, რა დიდი იმედები დაიბადა ჩვენში!

„ყოველთვის, როცა ბათომის ბოლოში ხომალდს შევყავარ, მგონია უცხო კაცს ჩემთვის ხელი ჩაუვლია და მიუყვანივარ ჩემი წინაპრების გაოხრებულ სამკვიდრებელში. ყოველი ნაბიჯი, თითოეული თვალის გადავლება, მთელი არე-მარე თითქო მეუბნება:—„დახე, აქ რა ძალა და სიმდიდრე ყოფილა, რა გონიერად დაუმზადებიათ და უხმარიათ ეს საუნჯე, და როგორ დაცემულა ეხლა ძველი ძლიერება, როგორ აოხრებულა უპატრონობით ეს მშვენიერი სამკვიდრებელი! არ გრცხვენიაო?“ და მე მართლაც მრცხვენია. თითქო მე დამეფანტოს ძვირფასი საუნჯე, თითქო

*) ეს წერილი დაწერილი იყო „ძმური სიტყვისთვის“, მაგრამ დაგვიანების გამო იქ ვერ დაიბეჭდა.

უცხოქვეყნელის დამკვირვებელი თვალის მერიდებოდეს, როგორც გამამხილებელი და გამამტყუნებელი სინიდისისა![1]"

ეხლანდელ ქართველობას მომავალზე ოცნება თვალს უხვევს აწმყოს და წარსულისთვის. ვისმე რომ გაეგებოდეს, თუ რამხელა მეცადინეობა დასჭირდა ძველ თაობას იმ მოძრაობის დასანერგავად და ალსაზრდელად, რომელმაც აჭარა დაგვიბრუნა, სულ სხვა შრომას გასწევდა შეერთების შემდეგ ჩვენი მხარე, აჭარასთან კავშირის გასაძლიერებლად. აბა ვის ახსოვს ეხლა ჩვენში დიმიტრი ბაქრაძის „აჭარაში მოგზაურობა" ან გიორგი ყაზბეგის „Три мѣсяца въ Турецкой Грузіи"?

რაც აჭარა შემოგვიერთდა, რა გვიქნია ამ შეერთების სინამდვილედ საქცევლად? რა იცის აჭარის წარსულის და მდგომარეობის შესახებ ეხლანდელმა თაობამ იმაზე მეტი რაც ჩვენ ვიცოდით შეერთებამდი? რით მივითვისეთ აჭარლების გული და გონება? თავს ვიტყუებთ, ამის ბრალს რომ სხვას ვწამებთ. თორემ არაფერი პატრონობა ეხლანდელ ქართველობას ხრ გაუწევია ძველი უპატრონობით დაკარგულ აჭარისთვის.

ბევრი რამ ითქმის ამის შესახებ, მაგრამ მოკლედ თქმულიც გასაგებია ყველასათვის, ვისაც აზრი უჭრის და გული უფეთქს. აჭარა უბრალო მხარე როდია. ამაოდ კი არ ყოფილა ის, ათი-ათასი წლის განმავლობაში, ბრძოლის ასპარეზად ყველა იმ დიადი ერებისათვის, ვინც ერთმანეთს ედავებოდა მსოფლიო მეუფებას. ესეც რომ არ იყოს, არის განა კიდევ სხვაგან სადმე ამისთანა სამოთხე? აი როგორ აქებდა ამ ქვეყნის ბუნებას, ამ ათასი წლის წინეთ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" აღმოჩენილი, განმარტული და ჩინებულად გამოცემული პროფ. ნ. მარისგან:

„ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილთ შეზავებულ მთისაგან და ჰაერისა რამეთუ არცა ფრიადი სიცხÚ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივÚ შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა უნოტიოჲ, უხორშაკჲ უმიწოჲ მზუარÚ. რამეთუ კაცთა ნახჳნი ფერფთანი არაოდეს თიჳიან ექმნებიან სვლასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შემაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქუშათა მათ შინა. ურიცხვი მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან"... და სხვა[2]).

ყოფილან ძველად ჩვენში მცოდნენიც, პატრონებიც, და გადაშენებულან. იმავე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" დამწერი ბრძანებს: ითხოვდეთ ბრძენთაგან სრულთა კრძალულებით სიბრძნისა-მეტყველობასა და სულელთაგან მეცნიერთა დუმილით სმენასაო", და თან დასძენს: „აწ სულელნი სიბრძნის-მეტყველებენ, ხოლო ბრძენთა დუმილი მათ ვერ გულისხმაყვესო".

ერის და ქვეყნის ბედი—ომმა აგვიხსნა—წინამძღვრების შორსმჭვრეტელობაზეა დამყარებული. ცალცალკე, უმზადისად, დაფანტულად, უპატრონოდ არაფერი გაკეთდებოდა და გაკეთდება ქვეყანაზე. საჭირო იყო ყოველთვის, და მუდამ საჭირო იქნება, შეერთებული და გულმოდგინე მზადება, ერთი გეგმით და წინამძღოლობით. მარცხის მეტი არა ელის ხალხს, რომელსაც—ამის მაგიერ—მართავს სულელთა სიბრძნის-მეტყველობა. ამათზეა ნათქვამი: „რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო".

ნ. ნიკოლაძე.

[1]) იხ. „კრებული" 1873, „სხვათაშორის", გვერდი 12.

[2]) თავი 22, სტრ. 9—18.

# ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო

## ვაჟა-ფშაველას დაკრძალვა

2 აგვისტოს წირვა დაიწყო ქვაშვეთის ტაძარში დილის 8 ნახ. საათზე. მწირველი ბრძანდებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი ლეონიდი, გორის ეპისკოპოზის ანტონისა, არქიმანდრიტების ნაზარისა და პიროსისა და პროვინციებიდან ჩამოსულ და თბილისის სამღვდელოების თანამსახურებით. 11 საათზე დასრულდა წირვა, როცა ეკლესიაში მობძანდა საქართველოს ეგზარხოსი, მაღალ ყოვლადუსამღვდელოესი პიტირიმი, რომელმაც, ზემოაღნიშნულ ეპისკოპოზთა, არქიმანდრიტთა და სამღვდელოების თანამსახურებით, წესი აუგო განსვენებულ მგოსანს. ეკლესიაში გრძნობით და შინაარსით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვეს ეპისკოპოზმა ლეონიდემ და დეკანოზმა კეკელიძემ. ცოცხალი ყვავილებით მორთული კუბო ეკლესიიდან გარეთ გამოასვენეს მწერლებმა, პრესის წარმომადგენლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. გალავანში გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვეს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წარმომადგენელმა ლ. ბოცვაძემ და თუშების წარმომადგენელმა დავ. ქადაგიძემ. შემდეგ ამისა კუბო დასვენებულ იქმნა სამგლოვიარო ეტლზე და სამგლოვიარო პროცესია გაემართა, გოლოვინის პროსპექტით, ვერის ხიდით და მიხეილის პროსპექტით, დიდუბისაკენ. ქართველ ერის სახელით მოძღვნილი გვირგვინი მიჰქონდათ მგოსან სანდრო შანშიაშვილს და კ. მაყაშვილს. სამგლოვიარო ეტლს გარს ეხვივნენ ქართველი მწერლები, პრესის წარმომადგენელნი და საზოგადო მოღვაწენი. გზაში რიგ-რიგობით ჰგალობდა 4 გუნდი—მ. კავსაძისა, ფილარმონიულ საზოგადოებისა, ჩარკვიანისა და დიდუბის ეკლესიისა. სახალხო სახლთან მცირე პანაშვიდი იქნა გადახდილი. კუბოს მიაცილებდნენ მგოსნის სახლობა, ნათესავები, სხვა და სხვა ქალაქთა, წოდებათა, კორპორაციათა, საზოგადოებათა წარმომადგენელნი და მრავალ ათასოვანი ხალხი. სხვათა შორის იყვნენ თავად-აზნაურობის მხრივ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, კ. ი. სვიმონიშვილი, თავ. კ. დ. ერისთავი და სხ. თბილისის თვითმართველობის მხრივ გ. ა. ჯაბარი და ბ-ნი ათაბეგოვი, წარმომადგენელნი მუსულმანთა, სტუდენტობისა, ჭიათურელ და ადგილობრივ მუშათა კორპორაციებისა და სხ. დაესწრო მუსულმანთა საზოგადოება და პრინცესა კაჯარი. პროცესია მივიდა დიდუბის ტაძრის გალავანში ნაშუადღევის 2 საათზე. იქ სიტყვა წარმოსთქვეს: მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ-ნმა სულთანოვმა, მუსულმანთა სტუდენტების წარმომადგენელმა ბ-ნმა ფიფინოვმა, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელმა გრ. ლაღიძემ, თბილისის მშრომელ ხალხის წარმომადგენელმა ივ. ბალიაშვილმა, ჭიათურის შავი-ქვის მუშათა წარმომადგენლებმა იოსელიანმა და ხიზანაშვილმა, მღ. მირიანაშვილმა, თბილისში მყოფ სტუდენტთა წრის წარმომადგენლებმა სტუდენტმა კოტეტაშვილმა, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ზესტაფონის განყოფილების წარმომადგენელმა ბეს. კელენჯერიძემ, მგოსანმა ბაჩანამ, ვაჟას შვილმა და სხ. ნაშუადღევის სამ საათზე, მცირე პანაშვიდის შემდეგ, ძვირფას მგოსნის გვამი მიწას მიაბარეს. მწარედ დაღონებული ხალხი დაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ დაკრძალვას აუარებელი ხალხი დაესწრო, წესიერება არ დარღვეულა.

## სიტყვა

**ვაჟა-ფშაველას დასაფლავებაზე, წარმოთქმული ქვაშვეთის ეკლესიაში. დეკანოზის კორნელი კეკელიძის მიერ.**

თანამედროვე უმაგალითო ომი ძალაუნებურად გვაგონებს ამ ძვირფას კუბოსთან „ბახტრიონში" აღწერილ ხოროშეთს, რომელსაც „წარღვნა დაეცა წყეულ თათართა ჯარისა" და სადაც ამის გამო ხსენება გაწყდა კაცისა". სწორედ ხოროშეთს წარმოადგენს დღეს ჩვენი ბედკრული, დამშეული და წარღვნილი სამშობლო, სადაც დარჩენილან, როგორც ხოროშეთში, მხოლოდ „ბალღები" და „დიაცნი", რომელნიც უნუგეშოდ დასტირიან ომში დახოცილთ ძვირფას სახელებს. სავალალო ის არის, რომ ასეთ უბედურობის დროს ერთი-მეორეზე ხელიდან გვეცლებიან სულისა და გულის მესაიდუმლენი, რომელთაც, რეალური შველა თუ არა, პოეტური თანაგრძნობა და ზეაღმფრენი ნუგეშისცემა მაინც შეეძლოთ. ჯერ კიდევ არ გაცივებულა დიდებულ აკაკის საფლავი, რომ ჩვენ პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწყინვალე ლამპარი, ის ლამპარი, რომელიც ფშავ-ხევსურეთის მწვერვალოთაგან უხვ ნათელს ჰფენდა მთელ საქართველოს: გაფრინდა „მთის არწივი" ვაჟა მოგვიკვდა ფშაველა! როდესაც ჩაუფიქრდები, უნებლიედ იმეორებ განსვენებულის მწარე სიტყვებს;

„სულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენია?
როდემდის უნდა ვიტიროთ,
მიწას ვაფრქვიოთ ცრემლია?"

განსვენებულის სულის ტრაღედიას ის ჰქმნიდა და ამწვავებდა, რომ, ერთის მხრით, მას ელანდებოდა დიდებულ წინაპართა აჩრდილი, მათი გმირობა, პატიოსნება და მამულიშვილური გრძნობა; მეორე მხრით კი თვალწინ ედგა დღევანდელი ჩვენი დაკნინება და, როგორც ამბობდა, „კარგისა შეცვლა ავზედა ამ მის სამშობლო მხარეში". ამ „სამშობლო მხარის" საშველად და სახსნელად ის აღიჭურვა, აღიჭურვა არა „ხმალ-შუბითა და ფარითა", როგორც მთიული, არამედ კალმითა და მელნითა. თავის სიმბოლიურ პოეზიის უმთავრეს მიზნად მან დაისახა ლამაზად და კოხტად გამოექანდაკებია ძველი ქართველის სახე და ყველასათვის ეჩვენებია მისი სიდიადე და წარმტაცობა. „დღისა სიცხადით გულდაჩაგრული", ის სიყვარულით იცქირებოდა წარსულისაკენ, თუმცა მისი ელეგიური, მელანქოლიით აღსავსე ქნარი სული უიმედოდ მომავალსაც არ უყურებდა. მართალია, ეს მომავალი მისთვის ბუნდოვანი და გამოურკვეველი იყო, მაგრამ მას სწამდა, რომ მართლაც რომ „გველის" და არა სხვა რამე კარგის „მჭამელი" და მით „გამეცნიერებული" და გათვითცნობიერებული ქართველი ერი, ადრე იქნება თუ გვიან, ძალა მოკრებილ მდინარესავით, უეჭველად გაარღვევს იმ სალ კლდეს, რომელიც, გზას არ აძლევდა ამ მდინარეს და არ უშვებდა ბარად.

განისვენე მგოსანო! შენი „სატრფო", შენი სამშობლო, არ მომკვდარა, ის „ბებერ ლომივით" მხოლოდ დარწმუნებულა, მაგრამ, გჯეროდეს, თანახმად შენი სურვილისა, მას მოევლინება „მათე მღვდელი", „გულშემატკივარი მასწავლებელი" და „შრომის მოყვარე ზურაბი", რომელნიც მალამოს დასდებენ მის იარებს; მაშინ „დაჭრილ არწივს" ფრთა გაუმთელდება და „ვაჟკაცს", რომელმაც „ჭიდილში" რქა დაკარგა, „რქა ამოუვა რქაზედა". შენი უმანკო სული ნეტარებას განიცდის, როდესაც გაიგებს, რომ გაერთიანებული საქართველოს გამოეზრდება არა ერთი და ორი „გოგოთური, ალუდა, ლუხუმა და ლელა". ის გაბრწყინდება, როდესაც დაინახავს „სანათას" მიერ „დანთებულ სანთელს" შუქი გაჰფანტავს იმ წყვდიადს, რომელსაც მოუცავს დღეს შენგნით მიტოვებული, შენზე მტირალი ქართველი ერი. მშვიდობით, საუკუნო იყავნ, და იქნება კიდეც, ხსენება შენი!

დეკ. კორნ. კეკელიძე.

## ძვირფას ნათლია ვაჟა-ფშაველას

დიდებულ მგოსანს ვაჟა-ფშაველას თავისმა ნათლულმა, პაწია მარო აგლაძემ, პაწია გულით და ცრემლებით სავსე სიყვარულით მიართვა პაწია ყვავილების გვირგვინი, პაწია გულუბრყვილო ცრემლებით:

შვლის ნუკრის ამყვავებელო,
პაწია გულის გრდემლითა
ყვავილებს გაყრი დალტობილს
ჩემის უმანკო ცრემლითა.

ნათლიავ, მთაში წაყვანას
მუდამ რომ მეპირებოდი,
რად უღალატე შენს აღთქმას
განა არ გებრალებოდი?!

პაწია რაზედ დამტოვე
ასე ნატკენი გულითა
რად არ დაგვაძლე ბალღები
შენს მზერა სიყვარულითა?!*)

ნათლული **მარო აგლაძე.**

## სამგლოვიარო დეპეშები

**კავკავი.** ბედი არ ილღება, ერთი მეორეზედ გვართმევს ღვთისაგან კურთხეულს მამულის შვილებს და ახლად-და-ახლად ჰმოსავს ჩვენს ძვირფასს სამშობლოს ძაძით. წარვიდა ჩვენგან ხალხის მაღვიძებელი ვაჟა-ფშაველა, მაგრამ მისი ლექსები ყოველთვის აღგზნებენ მის საყვარელ ხალხის გულს. ვევედრი ღმერთსა, რომ მისი სიკვდილი უკანასკნელი იქნებოდეს ჩვენ დიდებულ შვილთაგან საქართველოს მსხვერპლად.

**დიმიტრი ჭიაბრიშვილი.**

—

**ფოთი.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ფოთის განყოფილების გამგეობა გულწრფელად დასტირის უდროოდ გარდაცვალებას პოეტ ვაჟა-ფშაველისას, რომელმაც ხალხის ქმნილების დაფარულ გულიდან ამოღებულ უკვდავ მარგალიტებით განამდიდრა ქართული ლიტერატურა.

**თავმჯდომარე ნ. ნიკოლაძე**

—

**ხიშური.** ჩვენ ხაშურელები ვუერთდებით მთელი ქართველი ერის მწუხარებას ვაჟას დაკარგვის გამო.

—

**ხაშური.** ღრმად ვიზიარებთ გლოვას ქართველ ერისას, რომელმაც დაკარგა ვაჟა.

**ხაშურის ქართული დრამატიული წრე.**

—

**თბილისი.** თბილისის ტელეგრაფის მოხელეთა ერთი ჯგუფი, სახელოვან პოეტის, საუკეთესო მამულიშვილის დაკარგვით ღრმად დამწუხრებულნი, ვუერთებთ ჩვენს გლოვას ქართველ ერისას.

—

**ლანჩხუთი.** (დეპეშა ადგილ-ადგილ არეულია). ვაი ჩვენს თავს, უბადლო ვაჟას დაკარგვით! ეროვნულ მწუხარების ზღვას ვუერთებთ ჩვენს გლოვის ცრემლებს.

მღვდლები: **ეპიფანე ჩხაიძე და ლავრენტი წულაძე.**

—

**ქუთაისი.** გამგეობა და მოხელენი ქუთაისის მიხეილის სახელობის საადგილმამულო ბანკისა უერთებენ თავიანთს მწუხარებას ეროვნულს გლოვას ხალხურ პოეტის ვაჟა-ფშაველას უდროვოდ გარდაცვალების გამო, რომელიც თავის ნიჭიერს და მხატვრულ ნაწარმოებებში აღწერდა სახელოვან წინაპართა გმირულ სულს და მოიწვევდა თავის ხალხს უკეთესს მომავლისათვის საბრძოლველად. ხოლო პოეტის ოჯახობას ვუცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას.

**გამგეობის თავმჯდომარე ფალავა.**

—

„გავიგეთ საზარელი ამბავი: აღარა გვყავს ვაჟა; ქართველმა ერმა კიდევ დაჰკარგა ერთი უპირველესთაგანი შვილი.—სამტრედია, წ. კ-სა განყოფილება".

—

„გომის ქართველ საზოგადოებამ, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუხდია სამგლოვიარო ძაძები აკაკის გარდაცვალების გამო, სახალხო არწივ-პოეტის ვაჟა-ფშაველას სიკვდილმა ძალზე დაალონა. საერთო გლოვას ვუერთდებით. პანაშვიდი გადავიხადეთ. გომის ინტელიგენციის მონდობილობით ვასილ ბაგრატიონი".

—

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში აუარებელი დეპეშა მოდის ვაჟას გარდაცვალების გამო. ამათშორის მოგვყავს რამდენიმე:

„30 ივლისს ბაკურიანის ეკლესიაში გარდახდილ იქნა პანაშვიდი ჩვენი პოეზიის შვენების ვაჟა-ფშაველას სულის მოსახსენებლად. მღვდელმა სხირტლაძემ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. ყველა ქართველი მოაგარაკენი დაესწრო. —მონდობილობით ალექსანდრე წუწუნავა".

—

**დუშეთი.** ნაადრევი დაკარგვა დიდებულ მგოსნისა და სამშობლო მთების არწივისა ღრმა მწუხარებით გვავსებს ადგილობრივ ქართველ ...ებს. ჩვენს გლოვას ვუერთებთ მთელ ქართველ ხალხის გლოვასს გვწამს, ვაჟას სახელი და მისი ხსოვნა ღრმად აღიბეჭდება თვითეულ ქართველის გულში.

—

**აჭარელნი.** ჩვენი სამშობლო პოეზიის წარმომადგენელ ვაჟა-ფშაველა-რაზიკაშვილის ულმობელ სიკვდილით დამწუხრებული აჭარლები ვვალალებთ, რომ ბედი გვღალატობს და ჯერ კიდევ საქართველოს სიამაყე მგოსან ილია და აკაკის გამოდ ცრემლ შეუშრობელთ ხელახლად გვიხდება მთელს საქართველოსთან ერთად გავიზიაროთ ახალი მწუხარება და ახალი ცრემლი, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ბრწყინვალე მომავალი ივერიისა, რომელიც მუდამ გენიოს და კულტურულ მოაზრე და სამშობლო ყანის მხნე მუშაკებს გვიზრდიდა, ახლაც აღგვიზრდის ახალს ორბს, ახალს არწივებს, სამშობლო ლიტერატურისა და ხალხის აღსამაღლებელ-გასანათლებლად.

აჭარელთა რწმუნებულნი ხაზიფ ეფენდი მეხანიძე, რასიკ დეკანოსიძე და აჭარაში დროებით მცხოვრებნი მღვდელი მიხეილ ჩხიკვაძე და გიორგი კაჭახიძე.

—

**ქუთაისი.** არა მარტო ეროვნულ პოეზიის უდიდესი ქურუმი დაჰკარგა დღეს საქართველომ. ვაჟა-ფშაველას მწერლობა და ცხოვრება განსახიერებაა საქართველოს ერის რაინდული სულისა. სახელოვანი მთელის შეუდრეკელი და თავგანწირული მამულიშვილობა უტყუარი წინამორბედია საქართველოს ეროვნული აღორძინებისა. ვაშა მისს სახელს!!

**დასავლეთ საქართველოს სტუდენტობა.**

—

### სამგლოვიარო წერილები

**ქ. ახალციხე.** თავს ზარი დაგვცა ქართველი ერის სიამაყის და დიდებული მგოსნის დაკარგვამ. ფიცს ვაძლევთ, რომ მის ანდერძის აღსასრულებლად სისხლის დაღვრას არ დავიშურებთ.

**ვასილი ტავანაშვილი.**

—

**გორი.** ოთხშაბათს, 29 მკათათვეს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გორის განყოფილების გამგების თაოსნობით საკრებულო ტაძარში საღამოს შვიდ საათზედ გადახდილ იქნა პანაშვიდი გარდაცვალებულ ვაჟა-ფშაველას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო გორის ინტელიგენციის დიდი ნაწილი, დაესწრო აგრეთვე ქალაქის თავი ზ. დ. ქიტიაშვილი თანაშემწეებითურთ, მასწავლებლები ადგილობრივ სასწავლებლებისა, საურთიერთო ბანკის გამგეობის წევრნი და სხვა მრავალი. შინაარსიანი სიტყვით მიმართა დამსწრეთ წ. კ. საზოგადოების გორის განყოფილების თავმჯდომარემ ჩვენმა დრამატურგმა ნ. შიუკაშვილმა.

სიტყვა წარმოსთქვა აგრედვე გორის მაზრის ქალთა საზოგადოების „მანდილოსნის" გამგეობის თავმჯდომარე პატივცემულმა ან. ხოშტარია-ერისთავისამ.

**ურხ—ელი ვასო.**

*) ლექსი შ. მღვიმელისაა.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტროგრადი,** 1 აგვისტო. თავმჯდომარე აქვეყნებს თავად ვოლკონსკის განცხადებას იმის შესახებ, რომ ვოლკონსკი სათათბიროს წევრობას თავს ანებებს, რადგანაც უმაღლესი ბრძანებით ინიშნება შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ. „მე ვფიქრობ, განაგრძობს როძიანკო, ჩვენ კეთილ ამხანაგს ვუსურვებთ წარმატებას ახალ ასპარეზზე". (ხანგრძლივი ტაში და „ვაშას" ძახილი ყველა სკამებზე) მინისტრის თანაშემწე თავადი ვოლკონსკი მინისტრთა ლოჟის ახლო იკავებს ადგილს და მიმართავს საბჭოს შემდეგის სიტყვებით: „ულრმესი მადლობა, თქვენ ბატონებო. გთხოვთ, შემდეგშიაც თქვენი რჩევა და კრიტიკა არ მოაკლოთ ყველა იმას, რაც კი რუსეთის და ხელმწიფის კეთილ-წარმატებისთვის იქნება მიმართული. გიყვარდეთ სახელმწიფო საბჭო ბატონებო და გიყვარდეთ რუსეთი. გმადლობთ. (ხანგრძლივი ტაში) სიტყვას თხოულობს პურიშკევიჩი და დიმშა. პურიშკევიჩს დღევანდღელი დრო საქმის და არა სიტყვის დროთ მიაჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დიდ დანაშაულობად სთვლის რუსეთის სახელმწიფოებრივობის და რუსეთის ხალხის წინაშე რამოდენიმე სიტყვით მაინც არ დაახასიათოს პოლონეთის დღევანდელი მდგომარეობა.

პოლონეთის გლეხობა, წვრილი და მსხვილი თავად-აზნაურობა, ყველა, როგორც ერთი ადამიანი არამც თუ თანაგრძნობით, არამედ აღტაცებით შეხვდა რუსეთის დიდებულ ჯარის გამარჯვებას. ისინი რუსეთის ჯარის და თვით რუსეთის წარმატებისთვის სწირავდა ყველაფერს. მოსალოდნელი იყო, ზოგიერთ განწყობილებათა გამო, რითაც პოლონელებს შეეძლოთ ჩვენთვის ესაყვედურნათ, მათ შეეძლოთ ამ მოვლენებს ისე არ შეხვედროდნენ, როგორც შეხვდნენ; მოსალოდნელი იყო რომ ისინი, ვისაც რუსეთი ტკბილ დედობას უწევდა, როგორც მაგალითად ბალტიის მხარეს, ასეთი მხარე აღტაცებით მიჰგებებოდა რუსეთის სურვილებს და ლტოლვილებას,—მაგრამ იქ სადაც რუსეთი ყველას ანებივრებდა და ეფერებოდა აი, იქ, თურმე, რუსეთის საწინააღმდეგო გველს ზრდიდენ,—და იქ კი, საიდანაც შეეძლოთ ჩვენთვის უსამართლობა ესაყვედურნა, იქ აღზდილან ნამდვილი ერთგული და თავგანწირული რუსეთის შვილები. ბარბაროსმა გადმოლახა პოლონეთის

საზღვარი და პოლონელებს დაჰპირდა ის, რაც მათთვის მუდმივ ოცნებას შეადგენდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი მაინც რუსეთის ერთგულნი რჩებიან. ვარშავა, ეს წმიდათა-წმიდა ყველა პოლონელისთვის, დროებით დასტოვა რუსის ჯარმა და დღეს იქ მტერი ბინადრობს, მაგრამ პოლონელებმა მაინც არ უღალატეს რუსის დროშას—ამ მოვლენამ ისინი უფრო გააცოფა მტრის წინააღმდეგ. გაუმარჯოს ამ რაინდებს! დაე, ჩვენი საერთო უბედურება თავდები იყოს ჩვენი სულიერი შეერთებისა უკუნისამდე—გაუმარჯოს მომავალ პოლონეთის ავტონომიას რუსეთის ძლევა მოსილ ხელმწიფის სკიპტრის ქვეშ. (ტაში).

**დიმშა** აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ გერმანელობა მეხივით დაეცა სლავიანობას სწორედ იმ ისტორიულ დროს, როდესაც რუსეთმა შეიგნო ბუნებრივი მისწრაფება პოლონეთისა და გადასწყვიტა პოლონელებისთვის ავტონომია მიენიჭებინა, სამწუხაროდ, ამ გარდაწყვეტილებამ ყველა პოლონელის ყურამდე ვერ მიახწია. რადგან გერმანელების ხიშტებით იყვნენ გადაღობილნი. რასაკვირველია, ამ ჟამად გერმანელები ყოველ ღონეს იხმარებენ, რომ პოლონელებს სლავიანების რწმენა დაუკარგონ და ჩამოგვაცალონ. დიმშა იგონებს, რომ ვარშავის დაჭერა პოლონელებისთვის ისე არ ჩაივლის, რომ რაიმე არსებით პოლიტიკური ცვლილება არ მოხდეს. ვარშავიდან იტყობინებიან, პოლონურ ეროვნულ სიმღერით შემოვიდნენ გერმანელები, რომელთ მეთაურად საქსონიის ტახტის მემკვიდრე პოლონელ მეფეთა შთამომავალი ჰყავდათო. მათ მოსდევდათ პოლონელთა რაზმები, რომელნიც გალიციაში მოუწყვიათ. ამ ჟამად უნდა შევიგნოთ პოლონელთა მდგომარეობა, წინდაწინვე უნდა გავითვალისწინოთ შედეგი. არ უნდა დაყოვნდეს და დაწვრილებით გამოცხადდეს თუ როგორ უნდა მოეწყოს ახალი სახელმწიფო პოლონეთისა, რომ პოლონელებმა ეხლავე იცოდნენ რუსეთის გადაჭრითი გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც, მტრის განდევნის შემდეგ, პოლონეთი რუსეთთან განუწყვეტელ კავშირით იქნება და რუსეთის სკიპტრის ქვეშ ყოველგვარ სიკეთით ისარგებლებს.

პოლონეთის ერი საუკუნოებით ტანჯვის შემდეგ აღზდგა დაე იქითა მხრის პოლონელებმაც ახლავე იცოდნენ, დაე ჩვენის გამარჯვებით შემდეგ მშვიდად დაუბრუნდნენ პოლონელნი განთავისუფლებელ პოლონეთს ყოველ მხრიდან, სამშობლოდან ტანჯვა მონობისაგან განდევნილნი. თუ ეს ახლავე მოვახერხეთ, ავსტრო-გერმანიის გულისზრახვა პოლონელებისათვის საშიში აღარ იქნება.

**აჯემოვი** იმაზე აქცევს ყურადღებას, რომ გერმანეთში ცენტრალი სამხედრო-სამრეწველო კომისია ომის გამოცხადების ექვსი დღის შემდეგ დაარსდა, მაშინ როდესაც სახელმწიფო სათათბირო მხოლოდ დღეს განიხილავს სამრეწველო ორგანიზაციის პირობებს. თუ ჩვენი ქვეყნის ცოცხალ ძალებს არ ჩავურევთ ამ საქმეში, ომის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. მთავრობას კი არ ჰსურდა ეს გაეგო. მთავრობამ არა თუ ხელი არ შეუწყო საზოგადოების ორგანიზაციას, არამედ სცდილობდა სრული დეზორგანიზაცია მოეხდინა ყოველს დარგში... საჭიროა ფაბრიკების აგება, გარდაქმნა არსებულთა, მთელი სამეურნეო ცხოვრება სრულიად ახალს პირობებში უნდა ჩასდგეს, მაგრამ სამხედრო სამინისტრო ასეთს მუშაობისთვის ჯერ არ მომზადებულა. ამიტომ კადეტები სცდილობდნენ შეეძინათ მთავარი მმართველობა, მაგრამ კომისიის უმრავლესობა ჰფიქრობდა ახალ სამინისტროს შედგენა ძნელია ასეთს დროსაო. მათთვის საკმარისი იყო თუ სამხედრო სამინისტროს ამხანაგის თანამდებობას დააარსებდნენ. ასეა თუ ისე, ახალს თანამდებობაზე უნდა დაინიშნონ ისეთნი პირნი, რომელთაც მოუპოვებიათ საზოგადოების ნდობა. შემდეგ ორატორი განაცხადებს, რომ მთავრობა უკვე დარწმუნდა უსაზოგადოებოდ მას არ შეუძლიან ომის გაგრძელება, რომ მას უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ თავისუფალ ორგანიზაციებით მოწყობილ ქვეყანაში შეიძლება იიმედოს გამარჯვებით ამ ძლიერ ომში გამოვიდეს.

**ჩხენკელის** აზრით მთავრობა ესწრაფება მთელი პასუხისმგებლობა სათათბიროს მოახვიოს თავზე. ასეთ კანონპროექტის მიღებით სათათბიროს ერთმევა კანტროლობის უფლება, ვინაიდან თანამოთათბირედ მიწვეული დეპუტატები ხელმძღვანელები კი არა, არამედ მხოლოდ თანამოთათბირენი იქნებიან და სხვა არაფერიო. სათათბირომ უნდა თავი ისე დაიჭიროს, როგორც უფლება აღჭურვილ ერთად ერთ ორგანომ, ვის წინაშეც ქედი უნდა მოიხარონ მთავრობის ყველა ორგანოებმა. სათათბირო უნდა შეუდგეს მთელი რიგი კანონპროექტისა სისრულეში მოიყვანოს პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლების მისაღწევად, ვინაიდან მხოლოდ თავისუფალ ხალხს შეუძლიან სახელმწიფო იხსნას კრიტიკულ მდგომარეობიდან. სათათბიროს აქნობამდე ამისი მზგავსი არა გაუკეთებია რა. სამწუხაროდ, სახელმწიფოში ბევრია კიდევ იმისთანა, ვისაც სჯერა სათათბიროს ს. დ. ხავსებით გვერდს უხვევენ ხმა მისცენ კანონპროექტს და თავიდან აიცდინონ ყოველი პასუხისმგებლობას რაღაც მშიშარა და გამყიდველ ნაბიჯისთვის, რასაც სჩვევიან სათათბიროს უმრავლესობა, ვინაიდან, ეს თვითგამცემლობა იქნება, თუ ამ მთავრობას დავიფარავთ. (ხმაურობა, ყვირილი ცენტრში) თავმჯდომარე ითხოვს ჩხენკელი ათი სხდომიდან დათხოვნილ იქნეს (ხმები ადგილიდან: „გთხოვთ, სტენოგრამმა მოგვაწოდოთ“ ხმაურობა).

როდესაც ჩხენკელის პირადი განმარტება მოსმენილ იქმნა, თავმჯდომარემ მოაგონა, რომ ჩხენკელი პირდაპირ საკითხს გზას უქცევს და ისეთს სიტყვებს ხმარობს, რის მოსმენაც შეუძლებელი იყოო. ჩხენკელის უკანასკნელი სიტყვები იმდენად შეურაცხმყოფელი იყო სათათბიროსი, რომ თავმჯდომარე იძულებული შეიქნა უკიდურესი ზომებით შეეჩერებინა იგი. ეხლა ჩხენკელის განმარტების შემდეგ იგი შესაძლებლად სცნობს ჩხენკელი მორიგ სხდომებზე დაესწროს და მხოლოდ სამი სხდომიდან იქნეს განდევნილი, (წინადადება 200 ხმით მიიღეს. წინააღმდეგი იყო 63 ხმა).

**კერენსკი** პროტესტს აცხადებს ჩხენკელის გამორიცხვის გამო. სათათბიროს საქციელი, რომ იგი თავის-თავს შეურაცყოფულად სთვლის ჩხენკელის სიტყვებით, უბრალო პირმოთნეობაა, რადგანაც სათათბიროს თავი შეურაცხყოფილად არ უგრძვნია, როდესაც საზღვაო მინისტრმა ბრალი დასდო მუშებს გერმანელთა ფულს თავი მოახიბლვინეს და გაფიცვაც ამიტომ გამართესო.

თავმჯდომარემ სიტყვა წაართვა კერენსკის. მაკლაკოვი აღნიშნავს, კადეტები მხარს დაუჭერენ საგანგებო თათბირს, თუმცა კადეტებს ეს თათბირი მეორე ხარისხოვან საქმედ მიაჩნდათ. საგანგებო თათბირი უბრალო სუროგატი იქნება იმისა რომ საქმის გარჩევა აშკარად და საჯაროდ სწარმოებს და არა ცხრა კლიტულში. ეს საჭიროა რომ ქვეყანა გულმშვიდათ იყოს, ხოლო მთელი პასუხისგება დააწვება ერთად ერთ პირს, რომელიც მთავრობის სათავეში იდგომება. ეს პირი რომ შეეცადოს თავისი პასუხისგება ამ საგანგებო თათბირს თავს მოახვიოს, იგი ამით თავის უსუსურობასა და უნიჭობას დაამტკიცებდა. საქმის გამარჯვება და წარმატება დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა ღირსების პირი იქნება არჩეული. შემდეგ ორატორი ეხება რუსეთში გამეფებულ სისტემა მოსამსახურე პირთა არჩევისა და წარჩინების შესახებ და ამბობს: რუსეთი იმ ქვეყნის ნიმუშია, სადაც თითქმის არც ერთი თავის ადგილზე აღარ არის. უნიჭონი და ორპირი ხალხი წარმატებაშია. ხოლო მტკიცე ხასიათისა—კი მოწყვეტილია საქმეს. ბრწყინვალე კარიერა რუსეთში ძალიან ხშირად ადამიანის უარყოფითი თვისების მაჩვენებელია. ბევრი მოხელის დანიშნვა და წარმატება—აშკარა სასოგადოებრივი სკანდალია როდესაც რომელიმე მოხელის სრული გამოუსადეგრობა ცხადი გახდება, სამსახურიდან მის გადაყენებას უფრთხიან, რაო და მთავრობას სახელი არ გაუტყდესო. ჩვენს წინაშე რომ წარმოსდგა იმ ახალ მთავრობას, უფრო თავისი ხელქვეითების დამორჩილება და დამარცხება გაუძნელდება, ვიდრე გერმანელების, ქვეყნის წარმომადგენლებმა დაივიწყეს შული და მტრობა, რაზედაც უფლება ჰქონდათ და დაეხმარებიან მათ, ვისაც ამას წინად ებრძოდნენ. მაგრამ მათ უფლება აქვთ იფიქრონ, რომ ხელმწიფება, რომელსაც მთელი რუსეთის პასუხისგება აწევს, არ აყვება სიმპატია-ანტიპატიას და არც კერძო გავლენას, რომ დღეს ამ ხელმწიფებისთვის ერთად ერთი ლოზუნგი უნდა არსებობდეს: ღირსეული კაცი ღირსეულ ადგილზე (ტაშისკვრა). საჭიროა ეს პრინციპი ეხლავე იქმნას ცხოვრებაში გატარებული. საჭიროა ქვეყანას სწამდეს რომ მისი ბედი ისეთ პირთა ხელშია, რომელთაც ვერც მოფერებით მოისყიდი, ვერც ფულით; რომელსაც ვერც პორტფელის დაკარგვით შეაშინებ, ვერც სხვა რამ მაცდურებით მოხიბლავ. (ტაში). როდესაც მთავრობა ასეთ პირს ასახელებს და წარმოგვიდგენს, მას უნდა ყველაფერი ავიწყდებოდეს გარდა ერთისა; გამოსადეგარია იგი თუ არა ამ საქმისთვის რუსეთის საზოგადოებამ გამოიღვიძა, გამახვილდა მისი ყურადღებაც და ეჭვიანობაც. რუსეთის ჯარი ამ ახალ კაცის არჩევაში უნდა პოებდეს საბუთს, რომ მათთვის მართლაც ზრუნავენ. (ტაში).

მომხსენებელი სავიჩი აღნიშნავს, ახალ სამინისტროს დაწესება ბევრ დროსა და ფულს მოითხოვს და თანაც ზედმეტ გამწვავებას წარმოშობს. ისა სჯობია რომ მთელი პასუხისგება ერთ კაცის ხელში მოთავსდეს, სამხედრო მინისტრში.

სათათბირო შეუდგა კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას და უკამათოთ მიიღო ორი მუხლი, რომლებიც თათბირის მიზნებსა და კომპეტენციას ეხება.

საგანგებო თათბირის მესამე მუხლის ძალით კერენსკი აღნიშნავს, რომ მიზეზი ჩვენის უბედურებისა მარტო კერძო ბოროტმოქმედებით არ ისაზღვრება, არამედ საერთო წინდაუხედაობით, მართვაგამგეობის ნაკლულევანების გამო. ამიტომ ფართო ასაღორძინებელი ცვლილება უნდა მოხდეს სახელმწიფოში, უნდა მივიზიდოთ ახალი ძალა თავდაცვისათვის. ამ ჟამად წამოყენებული კანონპროექტი ერთს რასმეს ცხადს ჰყოფს. იგი ჰქმნის რაღაც სათათბიროს ნაცვლობას და საკანტროლო კომისიის საკითხს დუმილით მხარს უხვევს. რათა შევქმნათ ეკონომიური ძალა, უნდა ავამაღლოთ სული და მხნეობა. უნდა აღვადგინოთ საპროფესიალო და მუშათა კავშირები. უნდა მივანიჭოთ თავისუფლება გლეხების კოოპერატივებს. უნდა ვიქონიოთ იმდენი გაბედულობა, რომ ძველ შეცდომებში გამოვტყდეთ, უნდა შევიგნოთ, თუ დღემდე რაგვარ ცრუ გზით მივყავდა მთელი კუთხე.

დუმა იღებს ოქტომბრისტ-ზემცების შესწორებას, რომლითაც თათბირში შედის 4 წარმომადგენელი კომიტეტისა უკანასკნელთა ამოსარჩევად. ამასთან ნაჩვენები არ იქნება, თუ რომელ კურიას უნდა ეკუთვნოდენ ზემოდასახელებული წარმომადგენელნი.

მიღებულ შესწორებასთან ერთად თათბირში შევლენ წარმომადგენელნი სახელმწიფო საბჭოს და დუმისა ცხრა-ცხრა წარმომადგენელი; თითო წარმომადგენელი სამინისტროებისა: საზღვაოსი, საფინანსოსი, საგზაოსი, სავაჭრო-სამრეწველოსი, სახელმწიფო კანტროლისა და ხუთ-ხუთი წარმომადგენელი სამხედრო სამინისტროსი, სრულიად რუსეთის ერობათა და ქალაქთა კავშირისა, რომელთაგან თითოს თვითონვე ირჩევენ, ხოლო ოთხს დანარჩენს ირჩევს ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი.

მესამე მუხლს იღებენ. მარკოვ 2-ს ფორმულა უარყოფილია.

დანარჩენი მუხლები, რომელნიც შეეხებიან სახელმწიფოს დაცვის ღონისძიებათა, მიღებულ იქნა კომისიის რედაქციით ზოგიერთის შესწორებით.

შემდეგი სხდომა საღამოს.

საღამოს სხდომაზე აღძრეს საკითხი თუ როგორ უზრუნველ ჰყონ რკინის გზების სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა გათბობა. უკამათოთ, მხოლოდ ზოგიერთ შესწორებით, მიიღეს კერძო თათბირის მიერ შემუშავებული ორი მუხლი. მე-14 მუხლი მიღებულია ვოლკოვის შესწორებით, რომელიც გამოიმუშავებს საქონლის, სანოვაგის შეძენაში, მონაწილეობას ღებულობდნენ კოოპერატიულ დაწესებულებათა და ერობათა წარმომადგენლები. იმ გუბერნიებში კი, სადაც ერობა არ არსებობს, უნდა მოიწვიონ სამეურნეო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

კანონ-პროექტის კენჭის ყრის დროს ვერშინინი აცხადებს, რომ შრომის ჯგუფი არ მიიღებს მონაწილეობას კენჭის ყრაშიო.

## ახალი ამბავი

**თათბირი დამშეულთა შესახებ.** კვირას, 2 აგვისტოს, საღამოთი, თავადაზნაურთა საკრებულოში, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებლის თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით, თათბირი მოხდა წყალდიდობის გამო დამშეულთა შესახებ მთელ დასავლეთ საქართველოში და თბილისის გუბერნიის რამდენიმე ალაგას. თათბირს დაესწრენ თავად-აზნაურთა მარშლები და დეპუტატები, სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და თბილისში სტუმრად ჩამოსულნი ვაჟაფშაველას დაკრძალვაზე დასასწრებლად. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მდივანმა პავლე საყვარელიძემ დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ დამშეულთა მდგომარეობა. თათბირმა დიდ ხანს გასტანა, გადაწყვეტილ აზრს ვერ დაადგა კრება. ამიტომ თათბირის გაგრძელება სხვა დროს მოხდება. ეხლა კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ქუთაისისა და თბილისის თავად-აზნაურობამ, საქალაქო თვითმართველობამ და კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, დახმარება აღმოუჩინოს მან ხალხს ხაზინის საშუალებით და სახელმწიფო გადასახადი ან სულ აპატიოს, ან სხვა დროისთვის გადასდოს მისი გადახდევინება. ამასთანავე ეთხოვოსთ დეპუტატ ჩხეიძეს და ჩხენკელს, მხარი დაუჭირონ ზემოაღნიშნულ შუამდგომლობას.

**კავკასიის ებრაელთა უფლებანი.** ხელმწიფის მოადგილის საბჭოში ის აზრი გამოსთქვეს, რომ ადგილობრივი ებრაელები თავიანთ ზნე-ჩვეულებებით იმდენად შეეთვისნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომ აქაური ებრაელნი დიდად განირჩევიან თავიანთ ერთმორწმუნე რუსეთის სხვა ებრაელებისაგან; ამიტომ მათი უფლებრივი მდგომარეობა უნდა განირჩეოდეს იმ ებრაელებისაგან, რომელნიც ეხლა-ხინ არიან ჩამოსულნი კავკასიაში რუსეთიდან. ხოლო რაკი სენატის 1889 წლის № 25 ნომრის განცხადებით, ებრაელებს მხოლოდ მათ სარწმუნოების გამო ეზღუდებათ უფლება, ამიტომ არც ქართველ ებრაელების სრული გათანასწორება შეიძლება ქრისტიანებთან. ამის გამო მათ შიმართ 1906 წლის 2 აგვისტოს კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ე. ი. აქაურ ებრაელების მოსახლეობა და უძრავ ქონების შეძენის უფლება ვრცელდება მთელს კავკასიაზე თერგისა და ყუბანის ოლქების გარდა.

ცნობილ ქართველ ვიოლონჩელისტ ილიკო აბაშიძის მდგომარეობას უკეთობა დაეტყო.

**გარდახვეწილი აჭარლები.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ცნობა მოუვიდა, რომ ხარკოვსა და მის ახლო-მახლო ადგილებში მრავალი აჭარელი არისო. გამგეობამ არ იცის, ეს აჭარლები თავისი ნებით გარდაიხვეწნენ, თუ გადასახლებულები არიან. ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიან თურმე; იძულებული არიან, 5—6 შაურიდ იმუშაონ დღიურად ქვა-ნახშირის მაღაროებში.

**სოფ. კარდენახი.** ქ-ნ თინათინა გიორგის ასული ვაჩნაძე ფორაქაშვილის სასახლეში ოთხშაბათს 5 აგვისტოს გაჰმართავს აჭარლების სასარგებლოდ ფრიად შინაარსიანი საღამოს 4 განყოფილებად.

**კრება.** 31 ივლისს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის ახალ გამგეობას კრება ჰქონდა, რომელზედაც არჩეულ იქმნენ: გამგეობის თავმჯდომარედ გ. ი. ცინცაძე, თავმჯდომარის ამხანაგად ი. ბესელიძე, მოლარედ გ. მაჭავარიანი და მდივნად ს. ნატრიშვილი.

**სიღნაღის** წ. კ. გ. საზოგადოება ამით აცხადებს, რომ საჭიროა განყოფილების სკოლისთვის მასწავლებლის ჯამაგირი წლიურად 400 მ. და უფასო ბინა გათბობით და მოსამსახურით.

**უყურადღებობა.** 1 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე მეჟევოი ქუჩაზ- (სახლი № 20) ხოლერიანი ავადმყოფი აღმოჩნდა, რომელიც ქალაქის ლაზარეთში წაიყვანეს მაშინვე. სახლსა და სახლში მყოფთ დეზინფექცია გაუკეთეს.

**ხოლერა.** 1—3 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 6 და ხოლერის ნიშნებით 6 კაცი; მოკვდა 3 და გამოეწერა 3 კაცი. 3 აგვისტოს ლაზარეთში იწვნენ ხოლერიანი 40, ხოლერის ნიშნებით 9 კაცი. ხოლერიანთა შორის არიან თეოფილე ჩხეიძე, მაგდალინა ბერიშვილი და ბესარიონ ნინუა; ხოლერის ნიშნებიანთა შორის არიან სოფიო იორდანიშვილი და მარიამ გედევანიშვილი.

**სხდომა თხოვნების განსახილველად.** 31 ივლისს ქალაქის სამეურნეო კომისიამ განიხილა შუამდგომლობანი მენავთეებისა, მეპურეებისა და ყასბებისა. ყველანი ნიხრის მომატებას თხოულობდნენ თავიანთ საქონელზე. მათ შორის მენავთეებმა თავიანთი ნებით უკვე მოუმატეს ნავთს ფასი, ფუთზე ხუთი შაური. სამეურნეო კომისიამ მენავთეების თხოვნის შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს საგანი კომისიის უფლებას არ ექვემდებარება და ქალაქის გამგეობამ უნდა განიხილოსო. რაც შეეხება ყასბებისა და მეპურეების შუამდგომლობას, კომისიის აზრით, პურსა და ხორცს არა თუ მიემატოს, არამედ უნდა დააკლდეს ფასი, რადგან ფქვილი გაიაფდა რუსეთში, ხოლო საქონლის ხორცი სამხედრო უწყებას ბევრად უფრო იაფად უჯდება, ვინემ იგი თბილისში ისყიდება ნიხრითაო.

**მოსწავლეების გამოცდა.** 1 აგვისტოს სოფ. ავლევის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის უკანასკნელ კლასში შეგირდების გამოცდა იყო. გამოცდას დაესწრო თბილისიდან საგანგებოდ მისული კომისია თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიოდნენ: ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სახელით ვ. ი. რცხილაძე და ს. ყაზახაშვილი, სათადგილ-მამულო კომისიის მხრივ თავ. ლ. ნ. დიასამიძე და თავ. ვ. ლ. ჩერქეზიშვილი და პრესის წარმომადგენელი თავ. გ. ი. ამირეჯიბი. გამოცდა შეგირდებისა დაიწყო შაბათს, 1 აგვისტოს, და იმავე დღეს დასრულდა. გამოსაცდელი იყო სულ 12 მოსწავლე. ამათ რიცხვში გამოცდის დროს გაიმარჯვა 8 მოსწავლემ სკოლის დამთავრების მოწმობა მიიღეს. 1 შეგირდი ჩაიჭრა, ხოლო სამმა თუმცა შედარებით კარგად გაიმარჯვა, მაგრამ მცირე წლოვანობის გამო სასწავლებლის გათავების მოწმობა ვერ მიიღეს და ერთი წლით ისევ დატოვებულ იქნენ უკანასკნელ კლასში. ხსენებული სასწავლებელი დაარსებულია თავ. ქ. ამირეჯიბის მიერ და დღესაც იგივე ინახავს მას. დახმარებას აძლევენ ყოველ წლიურად საადგილ-მამულო კომისია და ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

**კავკასიის მუზეუმის შესახებ.** როგორიც უკვე საერთოდ ცნობილია ამ მუზეუმისთვის გადაიდო 386.922 მან. 80 კაპ. ამ ფულიდან 44.928 მან. და 07 კაპ. დაიხარჯა ქალების გიმნაზიის შენობაზედ, რომელიც აგებული იყო მუზეუმის ადგილზედ დანგრეულის ნაცვლად. თვით მუზეუმისათვის გადადებრლი იყო 341.994 მან და 73 კაპ. შემდეგ ინჟინერ ნეპრინცევის მოთხოვნილებისამებრ კვლავ გადაიდვა მუზეუმისათვის 119.429 მან. 28 კაპ. ეს ფული უნდა მოგროვდეს ამიერ კავკასიის ერობათა საშუალებიდან 3 წლის განმავლობაში 1915-17 დან. (კავკ. სლ.)

კავკასიის ერობათა ხარჯთ-აღრიცხვიდან გამორიცხულია 49.267 მანეთი თბილისის პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტისთვის გადადებული, სამაგიეროდ შეტანილია სრულებით ახალი ხარჯი სამი წლის განმავლობაში წლიურად 150 ათასი მანეთი (სულ 450 ათასი მან.) ომიანობის გამო ხალხის დასახმარებლად. (კავკ. სლ.)

**გადამდები სენი.** 3 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იწვნენ: ქუნთრუშიანი 24, ხუნავიანი 24, ყვავილიანი 1, საოფლიანი 11 და მუცლიანი 6 კაცი.

**სურსათი.** 2 აგვისტოს მოტანილი იყო თბილისში: ფქვილი 34 ვაგონი., ქერი 3 ვაგ., შაქარი 10 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., მაკარონი 1 ვაგ., ბაკლაჟანი 1 ვ., კარაქი $3^1/_2$ ვაგ., ხილი 1 ვ. საზამთრო 2 ვ., ქვის ნახშირი 5 ვაგ., შეშა 12 ვაგ., ნავთი 5 ვაგ., მადნეული წყალი 1 ვაგ., კვერცხი 277 ფუთი, კარტოფილი 464 ფუთი.

## „სახალხოელებს“

II

მკითხველები დამეთანხმებიან, რომ ჩემს პირველ წერილში (იხ. „საქართველო“ № 52), მე „სახალხოელებს“ პირადად არ შევხებივარ, ვინაიდან მე საქმე და თვით საკითხი მაინტერესებდა. საკითხი კი სრულიად მარტივი და ყველასათვის ადვილი გასაგები იყო.

„სახალხო“ მსჯელობდა საზოგადოდ თბილისში არსებულ რუსულ გაზეთების მავნებლობაზე და ამავე დროს მისი თანამოაზრენი და იდეური წინამძღოლნი ბ. ლ—შვილი და კ. ა—ძე რუსულ გაზეთის საქმეს აწყობდენ ქ. თბილისში ბაქოელთა დახმარებით.

ეს გარემოება მე ვერ გამეგო და „სახალხოელებს“ შევეკითხე.

პირველად გამომეკამათა ბ. გრიგოლ დიასამიძე (იხ. „სახალხო“ № 340).

„ახალი დიდი რუსული ფართო მიზნიან ორგანოს დაარსების აზრი“, მოგვითხრობს ბ. დიასამიძე, „დაიბადა სულ სხვა წრეში, რომელიც „სახ. ფურცლის“ რედაქციის ჯგუფს არ ეკუთვნის... ამ

საქმეს დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ ჩვენი ცნობილი მოღვაწეები და, სხვათა შორის, ისინიც, რომელნიც დასახელებული ჰყავს თ. გ. ამირეჯიბს“...

მე კი ჩემს წერილში დასახელებული მყავდნენ „სახალხოს“ წინამძღოლნი ბ. კ. ა—ძე და გ. ლ—შვილი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბაქოში მონავარდეთა პირების შორის გრიგოლ დიასამიძე არ არის ნახსენები.

ვგონებ, რომ იმას, რაც თვით გრიგოლ დიასამიძემ დაადასტურა, ჩემის მხრივ არავითარი განმარტება არა სჭირდება.

ბ. დიასამიძის ზრდილ და თავაზიან გამოსვლას მოჰყვა ბ. გ. ქიქოძის გაუგებარი წერილი როგორც ფორმით, აგრეთვე შინაარსით.

მან მთავარ საკითხს გვერდი აუქცია და პირადად ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრა.

ჩემი გონებრივი ავლადიდება, ბ. გ. ქიქოძის სიტყვით, თურმე იმ ცნობებით განისაზღვრება, კედლის კალენდრების უკანა გვერდზე რომ არის მოთავსებული.

ესთეტიური სტილის დარღვევა იქნებაო, რომ თქვენისთანა პიროვნებას საქართველოს ისტორიაზე და ხალხის გათვითნობიერებაზე ვეკამათოვო.

ეს ყველა კარგი, მაგრამ მთავარი საკითხი სად არის?

იყვნენ თუ არა „სახალხოელთა“ წარმომადგენლები ქ. ბაქოში რუსული პრესის გასაძლიერებლად ჩვენ დედა ქალაქში?

ყოფილან, მაგრამ პრესის საკითხში ბ. გ. ლ—შვილი და კ. ა—ძე „სახალხოელებს“ თურმე სრულიად არ ეთანხმებიან.

ბ. გ. ქიქოძეს მხოლოდ ეს უნდა ეთქვა, რადგან ქართველი საზოგადოება ზემოხსენებულ პირებს უწევს ანგარიშსა და არა პოლიტიკურ ბალღებს, „სახალხო ფურცელში“ რომ სხედან.

მაგრამ ბ. ქიქოძემ ფუქსავატი ჰექაქუხილი ასტეხა, რათა ქვეყანა დაერწმუნებინა, რომ შუბლი მხოლოდ მას აქვს ჰკუა-გონებით გაშუქებული და სხვებს არა ესმით რა.

მას სრულიად დაავიწყდა, რომ ჰეშმარიტების ქვეყანაში მოსაფენად ამ გვარი მტვერ-ბუქი საჭირო არ არის.

დაავიწყდა, რომ სხვისი ავად ხსენება ვერაფერი თამასუქია თავის ამაღლების და საზოგადოებაში სახელის გადიდებისა.

დაავიწყდა, რომ ჰეშმარიტი ღირსება არასოდეს არა ჰყვირის, არამედ სდუმს. „ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰღირს მკვეხარა“, ამბობს ძველი ხალხური ანდაზა.

ყოველივე ეს ბ. ქიქოძეს დაავიწყდა.

რა შედეგი მოჰყვა ამას დაე თვით საზოგადოებამ განსაჯოს, იმ ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც დღეს უკვე სიტყვას გაუსინჯავად აღარ იჯერებს და ყველაფრის დასაბუთებას თხოულობს.

მე კი ჩემის მხრით მთავარი საკითხი სრულიად გამორკვეულად მიმაჩნია და სურვილი არა მაქვს უცნობ კაცს პირადად შევეხო მით უმეტეს, რომ არც მე და არც, ვგონებ, ბ. ქიქოძე, როგორც კერძო პიროვნებანი იმდენს არას წარმოვადგენთ, რომ ჩვენი დახასიათებით მკითხველები შევავიწროვოთ.

ბ. გ. ქიქოძის გამოსვლას ბ. ი. გედევანიშვილის გამოსვლა მოჰყვა. ეს უკანასკნელი მთავარ საკითხს სრულიად არ ეხება და მხოლოდ ბ. რ. გაბ-შვილს ეკამათება.

„ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო“, გაიძახის ი. გედევანიშვილი. თავ. გ. ამირეჯიბს რ. გაბაშვილი გამოესარჩლა და ეს ასეც უნდა მომხდარიყოვო.

ყოველ გონება-გახსნილ ადამიანს, რომელიც თვალს ადევნებდა ამ ჩვენ კამათს, რუსული პრესის საკითხით გამოწვეულს, არ შეუძლიან გულწრფელად არ აღიაროს, რომ მე ჩემ მოწინააღმდეგებთან არავისი დახმარება და გამოსარჩლება არ დამჭირვებია, რადგანაც ყოველივე, რაც ვღვიარე, მათგანვე დადასტურებულ იქმნა.

ამიტომ ბ. გედევანიშვილი ამაოდ სცდილობს მკითხველს თვალები აუბას.

ყოველ შემთხვევაში ბ. რ. გაბაშვილისათვის ჩემთვის თავგამოდება არ უნდა იყვეს მეტად სათაკილო, ვიდრე ბ. გედევანიშვილისათვის.

რაც შეეხება სადავო საკითხს, მე მოხარული ვარ, რომ რუსული გაზეთის მნიშვნელობა ქ. თბილისში „სახალხოს“ წინამძღოლებსაც თურმე ისე ესმის, როგორც ყველა გონიერ ქართველს.

ამასთან მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს დღევანდელ მოწინააღმდეგებსაც რუსული გაზეთის მნიშვნელობა არა ნაკლებად ესმით და ძაღლის თავი სხვაგან უნდა იყოს დამარხული.

ამაზედ ადვილად დამეთანხმება მკითხველი, თუ იგი ბ. გ. ქიქოძის შემდეგ სიტყვებს ჩაუკვირდება:

„სახალხოს“ თანამოაზრეთა გამოცემული რუსული გაზეთი „ზაკ. რეჩს“ არ ემგვანებაო“.

აი რა ჰკლავთ თურმე „სახალხოელებს“! ჩვენ ხელში რუსული გაზეთი ქართველი ინტერესებისთვის დიდად სასარგებლო იქნებაო და თქვენ ხელში კი—მავნეო. რანაირად ესმით „სახალხოელებს“ ზემოხსენებული ქართული ინტერესები, სწორე გითხრათ, არვიცი, მხოლოდ იმაში კი სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მკვდრად-ნაშობ პარტიას, რომელსაც ქართველობასთან ბუნებრივი კავშირი არა აქვს, არავითარი ქართული საქმის მოწყობა არ შეუძლიან.

ფედერალისტების პროგრამმა მე განსვენებულ ბ. თაყინაშვილს მაგონებს, რომელიც ქ. გორში ფრიად ცნობილ პიროვნებას წარმოადგენდა. საბრალო სულ ერთ ოცნებით ცხოვრობდა: აი ამ ქალს ვირთავო, საქმე ნახევრად გათავებულიაო, მე მზათა ვარ და მხოლოდ იმის თანხმობას ველიო. ისე მოკვდა ბ. თაყინაშვილი, რომ ამ დანიშნულს ახლოც არ მიუკარებია, არამც თუ ცოლად არ წაჰყოლია.

კავშირი შესაძლოა მხოლოდ თანასწორ, თავისუფალ სახელმწიფოების შორის და დამოკიდებულია მოკავშირეთა სურვილზე. თუ ერთ მხარეს თქვენთან კავშირი სახეიროდ არ მიაჩნია, იმას თქვენი სიკეკლუცე და არშიყობა სასაცილოდაც არ ეყოფა.

ამ მხრით ფედერალისტების პროგრამას ვერ იზიარებს ჩვენი ერი, სანამ ის რისიმე პატრონია და სანამ ის გულწრფელად თაყვანსა სცემს თავის სამშობლოს.

ვისაც აღარა აბადია და თავზე ხელი აუღია, იმაზედ იქნება გავლენა ექონიათ „სახალხოელებს“, მაგრამ არსებობს უკვე ისეთი პარტია, რომელთანაც კონკურენცია ამ უკანასკნელების მხრივ სრულიად უსაფუძვლო იქნებოდა.

საჭიროა სალი პროგრამის შემუშავება ჩვენივე საჭიროების მიხედვით და არა უცხოელების მიმბაძაობით.

საჭიროა გონიერად ხმარება ქართველობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დღევანდელ პირობებისა.

ვისაც დღეს ნაციონალ ინტერესებისთვის გული შესტკივა, ვისაც დღეს ქართველი ერისთვის კეთილი ჰსურს, მან უნდა დღეს, თუნდა დროებით, უკუაგდოს ყოველი ძველი პარტიული გეგმა და ქართველობას ერთი პრაქტიკული მიზანი აღუნიშნოს.

ეს მიზანი ყველასათვის ნათელი უნდა იყვეს და ამ მიზნის განსახორციელებლად ამაღლებულ დროშას ყოველი გონიერი მამულიშვილი გაჰყვება. მხოლოდ ამგვარი მოღვაწეობით შეგვიძლია თანამედროვე პირობებში დავიმსახუროთ მტერ-მოყვრის ყურადღება და მორიდება.

პარტიულ გეგმას და სხვა და სხვა ნაირ ოცნებებს თუ გადავყვებით, ჩვენ ქართველ ხალხს აუცილებლად იმასაც დავაკარგვინებთ, რაც შერჩენია.

თ-დი გ. ამირეჯიბი.

## ჩვენი ცხოვრება

**ს. კიცხი.** (შორაპნის მაზრა). 26 ივლისს, ადგილობრივ ეკლესიაში, ჩვენი უკვდავი მგოსნის აკაკის გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, წირვა და პანაშვიდი გადავიხადეთ. ამ სოფლის მცხოვრებთ გარდა, ახლო-მახლო სოფლების ინტელიგენციაც დაესწრო. პანაშვიდის დაწყების წინ, ადგილობრივმა მღვდელმა, განსვენებულის ღვაწლი და ამაგი მოიხსენია და მოუწოდა საზოგადოებას ამ დიდებული ადამიანის იდეალებისათვის არ ეღალატნათ. ყველანი გულმხურვალედ ავედრებდენ ღმერთს, ჩვენი სიამაყის, სულის იქ განსვენებას, სადაც, აქ დევნილთ და მაშვრალთ, შეუძლიათ თავისუფლად განისვენონ.

მ. ფარცხნალელი.

## დეპეშები

**პეტროგრადი,** 31 ივლ. მინისტრთა თათბირზე დაადგინეს სამეტალურგიო მრეწველობაში სპარსელებს, ჩინელებს, და კორეელებს პასპორტის მხრივ გაუადვილონ რუსეთში შემოსვლა.

როგორც წითელ ჯვრის კომიტეტი იტყობინება მოწინაალმდეგის ჰაეროპლანს ვარშავა-ბრესტლიტოვსკის საბარგო სადგურებისთვის ყუმბარები დაუშენია. ერთი ყუმბარა სანიტარების მატარებელს მოჰხვედრია, გზა აუნგრევია. ყუმბარის ნატეხით დაჭრილა მოწყალების და, ორი სანიტარი. მოკლულა ერთი რკინისგზის მუშა.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა სარატოვის და კაზანის უნივერსიტეტებში მედიკურსა და ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტში მიღებულ იქმნან ქალები.

სახელმწიფო სათათბიროში გლეხების დეპუტატებს საკანონმდებლო მოხსენება წარუდგენიათ, სადაც ამბობენ, რუსეთში სამუდამოდ აიკრძალოს მაგარ სასმელების ვაჭრობაო. რომელიც დაარღვევს ამ კანონს, პირველად 4 თვიდან ერთ წლამდე ციხეს უსაჯავენ, მეორედ გამასწორებელ რაზმში უნდა გაიგზავნოს ერთის წლიდან სამს წლამდე, მესამედ გადასახლებულ იქნას დამნაშავე.

**ვაშინგტონი,** 31 ივლ. ვენაში გაიგზავნა ამერიკის პასუხი ავსტრიის ნოტიასა, რომელიც პროტესტს აცხადებდა იმის გამო, რომ ამერიკელები სამხედრო სურსათს და იარაღს უგზავნიან მოკავშირეთ. საპასუხო ნოტა ამტკიცებს, რომ აკრძალვა სურსათის გატანისა ნეიტრალიტეტის პრინციპებს არ ეთანხმებაო.

**ქრისტიანია,** 31 ივლისი. გერმანეთის წყალქვეშამ გააჩერა ნორვეგიის გემი „ირისი“ გააჩერა და ზღვაში გადააყრევინა ყველა რუსეთისათვის დანიშნული ამანათი. გერმანეთის წყალქვეშამ დალუპა ერთი ერთი ქვანახშირით დატვირთული გემი.

**პარიზი,** 31 ივლისი. პარიზის იაპონელი ელჩი, ბარონ იში, დაინიშნა გარეშე საქმეთა მინისტრად იაპონეთის ახალ კაბინეტში.

**ათინა,** 31 ივლისი. კონსტანტინეპოლის ტრამვაის სახელოსნოები გერმანელებმა ტყვია-წამლის დასამზადებელ ქარხნებად გადააკეთეს. მუშები და ხელოსნები გერმანელები არიან უმეტესად. მასალაც გერმანეთიდან არის მოტანილი.

**სტოკჰოლმი,** 31 ივლისი. გერმანეთის კოლონიების მინისტრმა კოლონიების დაკარგვის გამო კოლონიების საზოგადოების თავმჯდომარე მეკლენბურგის ჰერცოგ ალბერტს სანუგეშოდ შემდეგი მისწერა: უკვე ბისმარკმა იცოდა, რომ გერმანეთი ვერ მოახერხებდა კოლონიების დაცვას, თუ მას ინგლისთან ომი მოუხდებოდა. გერმანეთს შეუძლია თავისი კოლონიების შენარჩუნება მხოლოდ ევროპაში ძლიერებით. გერმანეთს საკმარისი ძალა აქვს, რომ ინგლისს კოლონიების წართმევა არ შეანარჩუნოს. გერმანეთს ესაჭიროება კოლონიები იმიტომ, რომ ომის შემდეგ მას დაუმუშავებელი მასალის მიღება დაუბრკოლებლივ შეეძლოს და მისი წარმოება სხვისგან დამოუკიდებელი იყოს. გერმანეთი განაგრძობს ბისმარკის აზრების განხორციელებასაო.

**ნიში,** 31 ივლისი. ღამით ავსტრიელებმა ყუმბარების შენა დაუწყო ბელგრადს მსხვილი ზარბაზნებით. ჩვენც ვუპასუხეთ და ზემლინში ცეცხლი გავაჩინეთ, ხოლო პანჩევს თავზარი დავეცით. მოწინააღმდეგემ მხოლოდ მაშინ შესწყვიტა სროლა, როცა ჩვენმა მფრინავებმა რავდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარა ზემლინში და პანჩევაში.

**ათინა,** 31 ივლ. „ნეა ხიმერა“ სწერს, რომ საბერძნეთის ერი დასტურსა სცემს პასუხს, რომელიც მიმართული იყო შეთანხმებულ სახელმწიფოთა ნოტის წინააღმდეგ. საბერძნეთს გადაწყვეტილი აქვს ყოველივე ძალადობისაგან დაიცვას ყველა ის ადგილები, რომლებიც მოპოვებულია მისი მეფის ხმლით.

ვენიზელოსის პარტია ფიქრობს, რომ მდგომარეობის სიძნელის გამო მთავრობამ სხვაფრივ უნდა აწარმოვოს მოლაპარაკება შეთანხმებულ სახელმწიფოებთან მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილების გადახედვის მისაღწევად.

**ლონდონი,** 1 აგვისტო. წარსულ ღამეს აღმოსავლეთ ნაპირებთან გამოჩნდა ორი ცეპელინი. მათ გადმოყარეს ასანთი და ასაფეთქებელი ყუმბარები. მოკვდა 6, დაიჭრა 23; ძალიან დაზიანდა 14 სახლი. ინგლისელთა საჰაერო რაზმმა ცეპელინებზე იერიში მიიტანა, მაგრამ ცეპელინები, რომელთა შორის ერთი, როგორც ეტყობა, დაზიანებულია—მიიმალნენ.

გერმანელთა წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს ინგლისელთა სამი გემი.

**პარიზი,** 1 აგვისტო. დარდანელთან სუვალის მიდამოებში ჯარი გადასხეს და წავიდნენ სამხრეთით გაბატელისკენ, სადაც სასტიკ ბრძოლის შემდეგ „სარი-ბანრ“-ის ფერდობები დაიჭირეს. დაატყვევეს 600 კაცი და წაართვეს 9 ტყვიისმფრქვეველი. ამ ადგილში ბრძოლა გრძელდება. ნახევარ კუნძულის სამხრეთით ოსმალებმა სცადეს ჩვენი ხაზის გარღვევა, მაგრამ უშედეგოთ. ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ ფრანგების. ფრონტზედ უმეტესად საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

**პარიზი,** 1 აგვ. პარლამენტის სხდომების დაწყებისასვე უკმაყოფილების კილო იმის, განსაკუთრებით რადიკალ-სოციალისტების ჯგუფიდან, რომელიც სამხედრო სამინისტროს ზოგიერთა მოქმედებას შეეხება. ამ საგანზედ გაზეთებში მრავალი წერილი დაიბეჭდა ერვიე და კლემანსოსი. კულუარებში სხვადასხვა ხმები დადის, რამაც პარლამენტის წევრთაგან შემდგარი კონტროლის დაარსება და რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების წარმომადგენლების ვივიანის თან მისვლა გამოიწვია. პარლამენტში ახალი ინციდენტი ჩნდება, რომელიც გამოიწვია მილერანის გაკრიტიკებამ დეპუტატ-ექიმების პეირუ და ნავარნოის მიერ ჯარის სასანიტარო სამსახურის გამო.

**რომი,** 1 აგვ. იტალიის საზღვაო შტაბის უფროსი აცხადებს, რომ ადრიატიკის ზღვის სამხრეთ ნაწილში იტალებმა დალუპეს ავსტრიის წყალქვეშა. 1 ოფიცერი და 11 მეზღვაური ტყვედ არიან ქმნილნი.

**სოფია,** 2 აგ. ბულგარეთის წარმომადგენელნი კონსტანტინეპოლიდან სოფიაში გაიწვიეს ოსმალეთ-ბულგარეთის მოლაპარაკების შესახებ მოხსენების წარსადგენად.

**პარიზი,** 2 აგვ. ქიმიის პროფესორი ბერტელო „მატენ“-ში სწერს: გერმანები ძალიან ინანებენ, რომ პირველად მათ მიმართეს შხამიან ბოლის ხმარებას. ფრანგებმა თავიანთ ახალ გამოგონებით დიდს უპირატესობას მიაღწიეს. ტყვექმნილ გერმანელთა მოწმობით, გერმანელები ბევრსა სცდილობენ ჩვენ ყუმბარებიდან ამოშვებულ შხამიან ბოლის საწინააღმდეგო საშუალების აღმოჩენას, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ რჩება.

**პარიზი,** 2 აგვ. რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების წარმომადგენლებს ვივიანმა უთხრა, რომ პარასკევს მთავრობა პალატის წინაშე წარსდგება და, თუ მისგან პასუხს მოითხოვენ, იგი განმარტებას მისცემს პალატას და ნდობის საკითხს წამოაყენებს.

**ათინა,** 2 აგვ. ინგლისის საზღვაო-სამხედრო გამგეობამ აუწყა საბერძნეთის მთავრობას, რომ მომავალში იკრძალება საბერძნეთში მეომარ სახელმწიფოებიდან საქონლის შეტანა.

## შემოწირულობა

რედაქციამ მიიღო ვაჟა-ფშაველას ხსოვნის აღსანიშნავად სალიტერატურო ფონდისათვის სადგურ აგტაგლიაში რკინის გზის მსახურთა შორის შეგროვილი 8 მან. და 65 კაპ.

შემომწირველთა სია:

| | |
|---|---|
| გ. ჭკადუა | 1 მ. |
| ე. ედიშერაშვილი | 1 მ. |
| ქ. თ—შვილი | 1 მ. |
| ე. კ—შვილი | 1 მ. |
| პ. ნასიძე | 1 მ. |
| ი. ირემაშვილი | 50 კ. |
| ქ. ტალახაძე | 50 კ. |
| ვ. ბეჟოშვილი | 50 კ. |
| ი. მიქელაძე | 50 კ. |
| მ. მანჯავიძე | 50 კ. |
| ა. გელიევი | 50 კ. |
| დ. ლორთქიფანიძე | 40 კ. |
| ი. გეგეშიძე | 25 კ. |
| სულ | 8 მ. 65 კ. |

პ. ნასიძე.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| ელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 , | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ |
| „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |
| „ სააგარ. | 8 ს. | 28 წ. | დილ. |


# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეზველოვები
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**
## განყოფილება ავლაბარში
**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლისაზერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.